

ახალი ინტერნაციონალიზებული დომენური სახელის ქვეყნის კოდის დომენში შერჩევის კრიტერიუმები და მოთხოვნები

სტრიქონთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები

- სტრიქონის მინიმალური სიგრძე უნდა შეადგენდეს 2 სიმბოლოს;
- არ არის აუცილებელი, რომ სტრიქონი შეესაბამებოდეს ქვეყნის სრულ სახელს, არც ის არის სავალდებულო, რომ სტრიქონი იყოს აკრონიმი. მთავარია, სტრიქონი აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

”მნიშვნელობის” მოთხოვნა

ინტერნაციონალიზებული ზედა დონის დომენური სტრიქონი, თავისი მნიშვნელობით, უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი ქვეყნის სახელს; სტრიქონი ჩაითვლება ”მნიშვნელობის მქონედ”, თუ იგი დაიწერება ქვეყნის ოფიციალურ ენაზე და წარმოადგენს:

- ქვეყნის სახელწოდებას;
ან
- ქვეყნის სახელწოდების ნაწილს, რომელიც აღნიშნავს ქვეყნის სახელწოდებას;
ან
- ქვეყნის სახელწოდების ცნობად შემოკლებულ ფორმას (აკრონიმს), რომელიც აღნიშნავს ქვეყნის სახელწოდებას.

თუ სტრიქონი, როგორც ფორმალური ქვეყნის სახელი, ნახსენებია შემდეგ დოკუმენტში :
Technical Reference Manual for the standardization of Geographical Names, United Nations Group of Experts on Geographical Names (“UNGEGN Manual”)
(<http://unstats.un.org/unsd/geoinfo/default.htm>), -

მაშინ ის ჩაითვლება ”მნიშვნელობის მქონე” სტრიქონად.

(ამ დოკუმენტის თანახმად სტრიქონი „საქართველო“ ავტომატურად ჩაითვლება „მნიშვნელობის მქონედ“, რადგან იგი წარმოადგენს ქვეყნის სახელწოდებას)

თუ სტრიქონი არ არის ნახსენები „UNGEGN Manual“ - ში, მაშინ კრიტერიუმთან მის შესაბამისობას განსაზღვრავს შესაბამისი საერთაშორისო ექსპერტი ან ორგანიზაცია.